აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო
პროგრამა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია)

მაგისტრანტი: თეონა გურეშიძე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია აკადემიური წერის პროგრამის ფარგლებში

ხელმძღვანელი:ზუხრა მაცაბერიძე

თემის დასახელება:

ოჯახური ძალადობა: კრიმინოლოგიური კვლევის თავისებურებები

თბილისი 0178,საქართველო

2020

რეზიუმე

ბოლო პერიოდში ოჯახური დანაშაულის, განსაკუთრებით კი ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საკითხი აქტიურად განიხილება. მკვლელობის შემთხვევებს შორის მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობების პროცენტული წილი, რაც აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ეფექტიანი მართმსაჯულების განხორციელებას მოითხოვს. დიდი ხნის განმავლობაში ოჯახური კონფლიქტი აღიქმებოდა, როგორც "პირადი" საქმე და სახელმწიფოც არ იღებდა ვალდებულებას, რომ დაეცვა მსხვერპლი მოძალადისგან. დღეს ამ თემაზე უფრო ღიად საუბრობენ, შექმნილია სახელმწიფო ინსტიტუტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად და უბნის ინსპექტორები, რომელთა მოვალეობაა რეაგირება მოახდინონ ოჯახურ ძალადობაზე და აღკვეთონ, დაეხმარონ დაზარალებულებს. მუშაობს 24 საათიანი ცხელი ხაზი.

ძალადობის დინამიკის კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა კანონი ვერ იქნება მორგებული კონკრეტულ შემთხვევაზე, ამ დროს მნიშვნელოვანია მოსამართლეთა როლი, როგორ გაიაზრებს და შეაფასებს ყოველ დეტალს, რასაც შეუძლია მსხვერპლს გაუადვილოს ხელმისაწვდომობა მართმსაჯულებაზე. ამიტომ სახელმწიფო სისტემატიურად ქმნის ახალ მექანიზმებს და აუმჯობესებს კანონმდებლობას, რომელიც მეტად შეუწყობს ხელს მსხვერპლთა დაცვას, დახმარებას და რეაბილიტაციას. სასამართლოს როლი მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის საქმეში.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელია:

- **კანონმდებლობის დახვეწა** - საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანას წინ უნდა უსწრებდეს სხვადასხვა სპეციალისტთა (ფსიქოლოგების, იურისტების,

სოციოლოგების, პოლიციელებისა და ჟურნალისტების) მიერ ჩამოყალიბებული საერთო პოზიცია.

- **საგანმანათლებლო მუშაობა** - საწყის ეტაპზე ოჯახურ ძალადობაზე მსჯელობასა და საკითხის პროპაგანდას უნდა ახორციელებდნენ კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც გააჩნიათ პროფესიული გამოცდილება ან მუშაობის სტაჟი.
- **ქსელური მუშაობის განვითარება** - ოჯახური ძალადობის საკითხზე მომუშავე ცენტრებისა და ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა, ერთობლივად შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე.
- **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება** - ოჯახური ძალადობის საკითხზე არსებული ლიტერატურის გავრცელება, მასმედიის როლის გააქტიურება, მოსახლეობის ინფორმირება საკონსულტაციო ცენტრებისა და პრევენციული საშუალებების არსებობის შესახებ.

Resume

In recent times, the issue of domestic crime, especially violence against women, has been actively debated. Among murder cases, the percentage of homicides committed on the grounds of domestic violence has increased significantly, which requires effective justice in this category of cases. For a long time, family conflict was perceived as a "personal" affair and the state did not undertake to protect the victim from the abuser. Today, the issue is being discussed more openly, the state institutions are set up to combat domestic violence and neighborhood officers tasked with responding to domestic violence and preventing, assisting victims. There is a 24 hour hotline.

Given the complexity of the dynamics of violence, not all laws can be tailored to a particular case, at which point the role of judges is crucial in how they understand and evaluate each detail that can make it easier for victims to access justice. Therefore, the state systematically new mechanisms and improving legislation that will greatly facilitate the protection, assistance and rehabilitation of victims. The role of the court is important and invaluable in eliminating domestic violence.

To achieve these goals it is necessary to work in the following directions:

- **Refinement of Legislation** - Amendments to legislative issues should be preceded by a common position taken by various specialists (psychologists, lawyers, sociologists, police officers and journalists).
- **Educational work** - Initially, domestic violence should be discussed by qualified experts with professional experience or work experience.
- **Development of networking** - Coordinated work of centers and organizations working on domestic violence, based on a jointly developed strategic plan.

- **Growing public awareness** - Disseminate existing literature on domestic violence, activate the role of the media, inform the public about the existence of counseling centers and preventive measures.

შინაარსი

თავი 1. ოჯახში ძალადობის კრიმინოლოგიური თავისებურებები 6

1.1. ოჯახში ძალადობა , როგორც დევიაციური ქცევის კერძო გამოვლინება 6

1.2. ოჯახური ძალადობის არსებული მდგომარეობა საქართველოში 8

1.2.1 საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებები 11

1.2.2 არასამთავრობო სექტორის სამოქმედო ასპარეზი/ ხვედრითი წილი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნებისთის. 14

1 .3. ოჯახური ძალადობის ფორმები 15

1.4 .ოჯახური ძალადობის წარმომქმნელი მიზეზები 19

1.5. მოძალადის სახე, მისი მახასიათებელი თავისებურებანი 23

1.5.1. მსხვერპლის სახე და მისი პარადიგმული მახასიათებლები 27

თავი 2. ოჯახური ძალადობის კრიმინოლოგიური პრევენცია 30

2.1. ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების საერთო და სპეციალური ღონისძიებები 30

2.2.ოჯახში ძალადობის ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა 42

2.3. კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებები 46

2.4. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება 49

ბიბლიოგრაფია 57

თავი 1. ოჯახში ძალადობის კრიმინოლოგიური თავისებურებები

1.1. ოჯახში ძალადობა , როგორც დევიაციური ქცევის კერძო გამოვლინება

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.[1]

ქალისა და კაცის თანასწორობა დეკლარირებულია საქართველოს კონსტიტუციაში, მათ შორის კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს კანონის წინაშე თანასწორობას განურჩევლად სქესისა, კონსტიტუციის 36-ე მუხლი აღიარებს თანასწორობას ქორწინებაში, ხოლო 38-ე მუხლი ადგენს თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ძალადობა ეს არის მსხვერპლისაკენ მიმართული მიზანშეწონილი ქმედება ,მოძალადის მიერ საკუთარი ძალმომრეობის , დემონსტრირებათა და მოთხოვნილებების რეალიზების მიზნით.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში , საზოგადოების მიერ ,ოჯახური ძალადობა განიხილებოდა ,როგორც "შინაური " საქმე[2] და სახელმწიფო რასაკვირველია ,უარს ამბობდა , აეღო წილი პასუხისმგებლობა .

მიუხედავად საკითხის დღის სინათლეზე გამოტანისა ,საზოგადოების არცთუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილი ,დღემდე თვლის ,რომ ოჯახური პრობლემები , ოჯახში უნდა გაირჩეს.

იმის ასახსნელად , თუ, რა არის ოჯახში ძალადობა ,როგორც დევიაციური ქცევის კერძო გამოვლინება , მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყალიბდებოდა სხვადასხვა ტიპის თეორიები, რომელთა მეშვეობით ,

---

[1] საერთაშორისო სამართლის ჟურნალი #1 ,2011 წ. მესხი მ. ,ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები გვ.67

[2] კუსიანი ე. სტატია „ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები" 2011წ.

სპეციალისტები ცდილობდნენ აეხსნათ მოძალადის მხრიდან ამგვარი ქცევის მიზეზები .

შედეგად განვითარდა ისეთი თეორიები ,როგორიცაა,

“შესწავლილი ქცევის “ ,

” შეცნობილი ქცევის “,

“კონტროლის დაკარგვის “

“შეცნობილი უმწეობის “

“ძალადობის ციკლის”.[3]

ჩამოთლილი თეორიებიდან ზოგიერთი მიზეზს მოძალადის პათოლოგიურ -ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ,თუ მის ძალადობრივ წარსულში ეძებდა ,ხოლო ზოგი ,ძალადობის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად , დაუძლურებული მსხვერპლის , ლაბილურ ან პათოლოგიურ - ფსიქოლოგიურ მდგომარეობას [4]მიიჩნევდა, უნდა აღინიშნოს ,რომ ჩამოთვლილ თეორიათაგან ,ვერც ერთი ვერ ხსნის ,არც ერთს აქვს ზუსტი პასუხი , თუ რა იწვევს საერთოდ ოჯახურ ძალადობას , ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ოჯახში ძალადობას 4 ძირითადი მახასიათებელი აქვს :

1. ძალადობის განგძობადობა .
2. ზრდის ტენდენცია.
3. /ძალადობის სუბიექტი და ურთიერთ დამოკიდებულება.

საზოგადოებისა და სამართალდამცავთა საკითხის მიმართ არაადეკვატური დამოკიდებულება

ოჯახში ძალადობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. განსჯის საგანია თითოეული ქალი, რომელიც თავს იცავს მოძალადისაგან და მართლდება ხშირად საზოგადოებისგან ქალთა კვლა. ამიტომ ცნობიერების ამაღლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, უნდა გაიზარდოს სამთავრობო და არასამთავრობო

[3] საერთაშორისო სამართლის ჟურნალი ,#1, მარინა მესხი ,ოჯახში ძალადობა -პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. გვ 62-63.თბილისი 2011 წელი.

[4] საერთაშორისო სამართლის ჟურნალი ,#1, მარინა მესხი ,ოჯახში ძალადობა -პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. გვ 64 თბილისი 2011 წელი.

სექტორის ჩართულობა. საზოგადოებას სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს, სანქციებისა და ასევე მსხვერპლის დაცვის მექანიზმების. მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობა და ქალთა ინფორმირებულობა.

ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ კონტროლსა და ძალაუფლების დამყარების სურვილს ეწოდება ოჯახში ძალადობა. მსხვერპლის დაშინება, [5]დამცირება, შეურაცხყოფა წინაპირობებია მოძალადის მიერ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების, მსხვერპლს ეზღუდება ნების გამოვლენა, ასევე მანიპულირებენ მისით.

1.2. ოჯახური ძალადობის არსებული მდგომარეობა საქართველოში

საქართველოში ოჯახში ძალადობა დამოუკიდებელ დანაშაულად 2012 წლის 12 ივნისს ჩამოყალიბდა[6] ,როგორც დამოუკიდებელი დანაშაული. სისხლის სამართლის კოდექსში დაემატა ახალი 126’ მუხლი, რომელიც მიზნად ისახავდა განსაკუთრებულ მიდგომას იმ პირთა მიმართ ,რომლებიც ძალადობას ახორციელებდნენ ოჯახის წევრების მიმართ და დადგინდა განსხვავებული წესები ,როგორც დისპოზიციის ,ისე სანქციის ნაწილში.

ფაქტია, ახალი რეგულაციისშემოღება განაპირობა სისხლის სამართლის კოდექსში, ოჯახში ძალადობის სტატისტიკის ზრდამ .

ამის შემდგომ დაიწყო ამ მუხლით წარმოებული საქმეების წარმოება, რაც თავის მხრივ მოითხოვდა სწორ სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკის არსებობას .

სისხლის სამართლის კოდექსის 11’ მუხლი , აწესებს ოჯახის წევრის ჩამონათვალს. უნდა ჩაითვალოს თუ არა ოჯახის წევრად მეგობარი ქალი ან მეგობარი მამაკაცი. ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო

[5] საერთაშორისო სამართლის ჟურნალი ,#1, მარინა მესხი ,ოჯახში ძალადობა -პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. გვ 67
თბილისი 2011 წელი.

[6] კოჭლამაზიშვილი ბ. მართმსაჯულება და კანონი ,ოჯახში ძალადობის საქმეებზე პრობლემური ასპექტები ,გვ.34

სამართლის გათვალისწინებით შესაძლოა ვიმოქმედოთ . თუ პრაქტიკაში გვექნება მსგავსი ფაქტი, კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ ,ამ შემთხვევაში კი სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ.

ოჯახური ძალადობის სტატისტიკის მიხედვით ,საქართველოში ძალადობას უფრო ხშირად განიცდიან ქალები,კვლევით დადგინდა, რომ საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად, ქალები ძალადობის რისკის ქვეშ უფრო მეტად პარტნიორის/მეუღლის მხრიდან იმყოფებიან [7]არიანარასრულწლოვნები, სოფლად მცხოვრებნი, იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები, გარკვეული ფსიქო-სოციალური თავისებურებების მქონე პირები , (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ფსიქიკური აშლილობები), მათი სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს მოძალადის ფსიქო-სოციალურ [8]დახმარებას, გაჯანსაღებას, მავნე ჩვევებისაგან პირის განკურნებას, ეს ყველაფერი ერთად პრევენციას ახდენს ,რომ მოძალადემ განმეორებით აღარ ჩაიდინოს დანაშაული და უზრუნველყოფილ იქნეს მსხვერპლის უსაფრთხოება .

საქართველოში გაზრდილია იმ პირთა რიცხვი, ვინც სამართალდამცავ ორგანოებს მიმართავს ,მსხვერპლის დასახმარებლად , იურისტები კრიზისული სიტუაციის დროს ცხელი ხაზის საშუალებით კონსულტაციას და დახმარებას უწევენ ძალადობის მსხვერპლს ან დაზარალებულს , ცხელი ხაზი შვედეთის[9] სახელმწიფოს მიერ დაფინანსდა , რომელიც აქტიურად მოქმედებს.

---

[7] Garcia-Moreno, C., et al. 2013. Global and Regional Estimates of Violence against Women: Prevalence and Health Effects of Intimate Partner Violence and Non-partner Sexual Violence. WHO: Geneva.

[8] https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2016/02/public-attitudes-towards-domestic-violence-in-georgia---trends-at-a-glance

[9] გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში unwomen საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში - ტენდენციები და მიდგომები

სახელმწიფო ბავშვთა უფლებების ჩარჩოში ხედავს არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობას, მათ ხომ განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება სჭირდებათ .

ქვე -ჯგუფების ჩარჩოში იგულისხმება :იძულებით გადაადგილებული პირები, ეთნიკური უმცირესობები,სოფლად მცხოვრები მოსახლეობა . ეს ჯგუფები უფრო მეტად მოწყვლადი არიან ოჯახში ძალადობის მიმართ და მათთვის ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია ,რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება.მათთან უნდა ეწყობოდეს საინფორმაციო, საგანმანათლებლო კამპანიები.

სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ, განავითარონ და/ან დახვეწონ ძალადობის წინააღმდეგ ეროვნული მექანიზმები. მობილური აპლიკაცია,რომელიც 112 ზე ჩუმი შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას იძლევა,პანდემიის დროს ასობით მომხმარებელმა გადმოწერა,საკუთარი უსაფრთხოების დაცვა ამ გზით 4441 მა ადამიანმა ჩათვალა საჭიროდ .

ვირუსის გავრცელებასთან ერთად მოწყვლად ჯგუფების დაუცველობასა თუ ოჯახში ძალადობის რიცხვის ზრდაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობს,მიმდინარე პანდემიისას ოჯახში ძალადობის შემთხვევები გლობალურად ⅓ ით გაიზარდა ,გაეროს ქალთა ორგანიზაციის მონაცემებით ,საფრანგეთში შეტყობინებების რიცხვი კარანტინში 30 % ით გაიზარდა,არგენტინაში 25 % ით ,კვიპროსში 30 % ით, შემთხვევების რიცხვის ზრდა დაფიქსირდა კანადაში,ესპანეთში,გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1.2.1 საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებები

2019 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქალთა მიმართ და ოჯახში [10]ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით,კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები და გამკაცრდა სასჯელი ოჯახში ძალადობის ჩადენისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საპასუხოდ, შეიქმნა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტი .პრაქტიკაში დაინერგა ძალადობის [11]რისკის შეფასების ინსტრუმენტი ,რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვისა და განმეორებითი ძალადობის პრევენციისათვის.

სახალხო დამცველი იძლევა რეკომენდაციას,რომ ცალკე აღირიცხოს შსს -ს მიერ ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის სტატისტიკა.

შესწავლილი საკითხების მიხედვით პრობლემატურია სოციალური სამსახურის მუშაობა, მათი დანაშაულში ჩართულობა ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს , იმისათვის,რომ აღმოიფხვრას საზოგადოებაში გამეფებული ეს დანაშაული, ასეთი ფორმალური მიდგომა შედეგს ვერ გამოიღებს, აუცილებელია სოც-მუშაკების გადამზადება,საინფორმაციო ტრენინგების ჩატარება იმ სახელმძღვანელო წესებისა ,რომელიც დაგვეხმარება ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად .

სამწუხაროდ, არ არსებობს ერთიანი მეთოდოლოგიური სტანდარტი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკისა,კვლავ დგას ძალადობის შემთხვევათა შესწავლის პროცესში სოციალური მუშაკების ეფექტიანად ჩართვის პრობლემა.სოციალური მუშაკების რაოდენობრივი სიმცირის და სამუშაოს მოცულობის გამო ვერ ხერხდება მათზე კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების

[10] ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში,საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019. გვ.196

[11] https://bit.ly/2TUnbzF

ჯეროვანი შესრულება.მსხვერპლთა სათანადო მხარდაჭერა და მათი ინტერესების დაცვა.

ძალადობა განსაკუთრებით მძიმედ აისახება დაბალი შემოსავლის მქონე ან შემოსავლის არმქონე ქალებზე,განათლების არმქონე ქალებზე,მარტოხელა ქალებზე,კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებზე,ხანდაზმულ პირებსა და ქალებზე, რომელთა პარტნიორები ან ყოფილი პარტნიორები სამართალდამცავ უწყებებში , შეიარაღებულ ძალებში მუშაობენ ან მსახურობენ.

ქალი ,რომელიც დედაა და ოჯახური მოვალეობების შესრულება უწევს , ამ დროს კაცები უმეტესად ტიპურ სამუშაოს ასრულებენ ,ეს ფაქტი შეიძლება ჩაითვალოს გენდერულ დანაწილებად.საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ საქმეებში ტენდენციად იკვეთება მოძალადის მხრიდან მსხვერპლის დასჯის მიზნით ბავშვით მანიპულირების შემთხვევები,ეს გარემოება მსხვერპლის მდგომარეობას განსაკუთრებით ამძიმებს.

მიმდინარე საანგარიშო წელს ,საქართველოს სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტმა[12] , ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ,რეგიონში მომუშავე სოციალურ მუშაკებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ჩაატარა.

შეხვედრების მიმდინარეობისას , სოციალურმა მუშაკებმა დაასახელეს თავიანთი პრობლემები,მათ დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებაში ხელს უშლის არასათანადო შრომის პირობები. სოციალურმა მუშაკებმა გამოწვევად დაასახელეს გადატვირთული სამუშაო გრაფიკი.არასათანადო ანაზღაურება,ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტირების პრობლემები, პრობლემად დასახელდა პროფესიული განვითარების შეუძლებლობაც.

[12] ხატიაშვილი გ.საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე 2016-2018

რეაბილიტაციის კურსის გავლა არ ატარებს პრაქტიკაში სავალდებულო ხასიათს ,რომლის მიხედვითაც მოძალადე კარგავს შესაძლებლობას დაეხმარონ საკუთარი ქმედების შეფასებაში და მოხდეს შემდგომი პრევენცია ,სარეაბილიტაციო კურსი უნდა ატარებდეს სავალდებულო ხასიათს .

სახელმწიფოს მხრიდან კარგი იქნება ასევე გაიზარდოს იმ პროფესიული სასწავლებლების რიცხვი ,რაც დაეხმარება ძალადობის მსხვერპლი ქალების რესოციალიზაციას ,სასწავლებლები არსებობს ქუთაისში,ქობულეთში,ალვანში,კაჭრეთში, ახალციხეში, ამბროლაურში , ჩოხატაურში , დედოფლისწყაროში.

ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა და სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა დღეის მდგომარეობით დასახვეწია და პრაქტიკაში დასანერგი , რათა კომპლექსური ბრძოლა გატარდეს არსებული დანაშაულის მიმართ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მიღებული ახალი კანონით, ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისთვის 2018 წლის 28 დეკემბრიდან გამკაცრდა[13].

შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა იწვევს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ასევე წარსულში ჩადენილი ძალადობრივი ქმედების ფაქტი დამამძიმებელი მდგომარეობაა.

მკაცრია სასჯელი არასრულწლოვანის თანდასწრებით ჩადენილი დანაშაულისთვის.

[13] https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-initsiativit-mighebuli-akhali-kanonit-odjakhshi-dzaladobis-chamdeni-pirebistvis-sasdjeli-gamkatsrda/12264

1.2.2 არასამთავრობო სექტორის სამოქმედო ასპარეზი/ ხვედრითი წილი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიზნებისთის.

საქართველოში არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც დაინტერესებულია ოჯახური ძალადობის მწვავე პრობლემით. ისინი ამ მიმართულებით ახორციელებენ არაერთ ქმედეთ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება, როგორც საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, ასევე, უშუალოდ მსხვერპლთა ინტერესების დაცვას. არასამთავრობო ორგანიზაციათა კვლევისა თუ მონიტორინგის ფარგლებში არაერთი საყურადღებო ასპექტი იკვეთება. სწორედ რომ ხარვეზისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაა არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი ამოცანა.

ოჯახში ძალადობის შემთხვევათა პრევენციის, გამოვლეისა და მსხვერპლთა შემდგომი დაცვის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი როლი ეკისრება არასამთავრობო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებას, ფსიქოლოგებსმასწავლებლებს, ჟურნალისტებს, ექიმებს. არსებითია, რომ ყველა ზემოაღნიიშნულმა ინდივიდმა საკუთარი პროფესიისა და კომპეტენციის ფარგლებში ხელი უნდა შეუწყოს ოჯახურ ძალადობის, როგორც საზოგადოებისათვის მეტად საშიში დანაშაულის პრევენციაში.[14]

საქართველოში ოჯახურ ძალადობაზე მუშაობა 1990-იანი წლების ბოლოდან დაიწყო, 2006 წელს მიღებული იქნეა კანონი „ ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“ კანონში განისაზღვრა ოჯახური ძალადობს ცნება და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, რომლებიც ტარდება მოძალადის

[14] *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,* ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში, მონიტორინგის ანგარიში N10, თბილისი, აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგზაზრდა იურისტთაასოციაციაში, 2017, 12.

მიმართ, კერძოდ შემოღებულია შემაკავებელი ორდერი და დამცავი ორდერი, რაც საშუალებას აძლევს პოლიციასა და სასამართლოს სწრაფი რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობს ფაქტებზე, უზრუნველყოფ მსხვერპლის დაცვა და შეზღუდულოს მოძალადის გარკვეული ქმედებები.[15][16]

1 .3. ოჯახური ძალადობის ფორმები

ოჯახში არსებული ძალადობის შედეგად მსხვერპლმა შეიძლება განიცადოს, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ძალადობა.[17]

ოჯახური ძალადობის ფარგლებში გამოყოფენ ძალადობის შემდეგ ძირითად ფორმებს:

- **ფიზიკური ძალადობა,** რაც შეიძლება გამოიხატოს ცემით, წამებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, რაც შეიძლება გამოიხატოს საცხოვრებელი სახლის ან ოთახის დატოვების აკრძალვაში, ჯანმრთელობის დაზიანებით, რაც ასევე გულისხმობს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შეუძლებლობას, რამაც შეიძლება შედეგობრივი სახით გამოიწვიოს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანება ან მისი სიკვდილი. ბუნებრივია ეს ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განსხვავებული

---

[16] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 67. <https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

[17] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 67. <https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

გარემოებებით გამოიკვეთოს;

- **ფსიქოლოგიური ძალადობა,** რაც შეიძლება გამოიხატოს მსხვერპლზე უარყოფითი ემოციური ზემოქმედების განხორციელებაში, კერძოდ, შნატაჟში, მუქარში, დამცირებში და სხვა. ფსიქოლოგიური ძალადობა შედეგობრივი თვალსაზრისით ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახავია;

- **იძულება,** რაც ვლინდება ოჯახის წევრზე ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში, შეასრულონ ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, ასვეე თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან, რაც წარმოადგენს დაზარალებულის უფლებას და დამოკიდებულია მის ნება-სურვილზე. ამდენად, იძულებას, როგორც ოჯახური ძალადობის გამოხატულ ერთ-ერთ ფორმას ახასიათებს მოძალადის მხრიდან განხორციელებული უარყოფითი ზემოქმედება - იმოქმედოს მსხვერპლმა საკუთარი ნება-სურვილის საწინააღმდეგოგ;

- **სექსუალური ძალადობა**, რაც გულისხმობს სქესობრივ კავშირის ძალადობით, ასევე, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით;

- **ეკონომიკური ძალადობა**, რაც მოიცავს მოძალადის ისეთ ქმედებას, რაც იწვევს საკვებით, საცხოვრებლით, სხვა საარსებო პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა თუ თანასაკუთრების უფლების ფარგლებში აღრიცხული ქონებისა თუ წილის განკარგვის უფლებათა შეზღუდვას.

ოჯახური ძალადობის, როგორც ძალადობის სპეფიციკური სახის ფორმების განსაზვრის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია მხედველობაში მივიღოთ ამ სფეროში, ერთი მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელიც ქართულ რეალობაში 2017 წლის 1 აგვისტოდან ითვლის ძალაში შესვლის ვადას, ხოლო, მეორე მხრივ, იურიდიული დოქტრინა ოჯახური ძალადობის ფორმებად გამიჯვნის სფეროში.

საუბარია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაზე", რომელიც ხშირად სტამბოლის კონვენციის სახელითაც მოიხსენიება. კონვენციის ქვაკუთხედია ისეთი საკითხები, როგორებიცაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.[18] კონვენცია იძლევა ოჯახური ძალადობის შინაარსის გამორკვევის შესაძლებლობას და მას განმარტავს, როგორც ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.[19] აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე ნათელი ხდება, თუ რა სავარაუდო ფორმებით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ოჯახური ძალადობა. კერძოდ, ეს შეიძლება გამოვლინდეს როგორც ფიზიკურ, ისე სექსუალურ, ფსიქოლოგიურ თუ ეკონომიკურ ძალაობაში. ბუნებრივია, ძალადობის თითოეულ ამ ფორმას საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა აქვს, თუმცა ის საერთო წერტილები, რომლებიც მათ საერთო

---

[18] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2", თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი", 2017, 73.

[19] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია", მუხლი 3, „ბ" ქვეპუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

წრში აქცევს, ერთიანდებიან ოჯახური ძალადობის სახელით კვალიფიცირდება.

კონვენცია არსებითად ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის იდეის მოწოდების განსაკუთრებული ხარისხით მოწოდებაა (არსებითი თანასწორობით რომ ჩანაცვლდა ფორმალური 201 წელს) კონვენცია აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას და განსაკუთრებით საყურადღებო ამ „აღიარებაში“ არის ის, რომ კონვენციით მოცემული ცნება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, ფორმულირებულია აბსოლუტური გონივრულობით დალაგებული თანმიმდევრობით, საუბარია იმაზე, რომ კონვენციის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობა უპირველეს ყოვლისა აღიქმება ადამიანის უფლებების დარღვევად, ასევე, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმად.[20] ქალთა მიმართ ძალადობა კონვენციის შესაბამისა გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ კონვეცია სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ისეთი დანაშაულებისათვის, როგორიცაა ქალითა ორგანოების „დაცვეთ„“, იძულებითი ქორწინება, დევნა, იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია.

კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა განახორციელონ კოორდინირებული ძალისხმევით.

[20] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“, მუხლი 3, „ა“ ქვეპუნქტი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678?publication=0>

1.4 .ოჯახური ძალადობის წარმომქმნელი მიზეზები

ოჯახური ძალადობის წარმომქმნელი მიზეზები უპირატესად არათუ შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ხარვეზიანობაში, ან თუნდაც არარსებობაში უნდა ვეძიოთ, არამედ თავად საზოგადოების ცნობიერებაში. აღნიშნულის დასტურად თავის მხრივ ისიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ საყურადღებოა, რომ ამგვარი დანაშაული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფიქსირდება და მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას.[21] ბუნებრივია, რომ იმ ქვეყანათა მრავალრიცხოვნობს პირობებში, სადაც ოჯახური ძალადობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა, თავისთავად განსხვავებული იქნება ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და სტრატეგია, თუმცა გამოწვევა გამოწვევადვე რჩება, სწორედ იმიტომ, რომ მისი საწყისი საზოგადოების ცნობიერებაში იღებს საფუძველს.

ოჯახში ძალადობა საზოგადოების მერ ხშირად აღიქმება, როგორც ოჯახის პირადი საქმე. მოძალადესა და მსხვერპლს შორის ახლო ურთიერთობების არსებობა შეიძლება გავლენას ახდენდეს ძალადობის აღქმასა და გაგებაზე, როგორც საზოგადოების, ისე თავად მოძალადის მხრიდან.[22] ცხადია, კანონმდებლობით რისკების დაზღვევის უზრუნველმყოფი მექანიზმები თავის წილ ეფექტიანობას უზრუნველყოფს დანაშაულთან ბრძოლის ასპარეზზე, თუმცა გაცილებით უფრო ნაყოფიერია საზოგადოებრივ ცნობიერებაში სტერეოტიპებად ჩამოყალიბებული შეხედულებების პროგრესული იდეებით ჩანაცვლება, რაც არსებითად მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების. აღნიშნული საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ელემენტია. საზოგადოების

---

[21] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 65. <https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

[22] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017,60.

მხრიდან განსახილველი პრობლების სწორად აღქმის მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ რიგ შემთხვევაში ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოების ერთ ნაწილში არსებული დამოკიდებულება და მათი მცდარი პოზიციები.[23] ამდენად, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ იმ უმთავრეს მიზეზთან ბრძოლით უნდა დაიწყოს, რომელიც განაპირობებს მის პროვოცირებას. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ გაიაზროს ოჯახში ძალადობა ისეთივე დანაშაულია და საზოგადოებისათვის საშიშროების შემცველი საფრთხეა, როგორიც ძალადობა ოჯახს გარეთ[24] იმდენად, რამდენადაც ოჯახში არსებული ძალადობა იწყვევს მნიშვნელოვან სოციალურად საშიშ შედეგებს[25], რომელიც სამომავლოდ შესაძლოა სწორედ ოჯახს გარეთ, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბებში აისახოს.

ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე მნიშვნელოვან აქცენტებს შეიცავს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“, რომლის თანახმადაც ქალთა მიმართ ძალადობა ისტორიულად ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალთა უთანასწორობის გამოვლენაა, რამაც მიგვიყვანა მამაკაცების მხრიდან ქალების მიმართ დისკრიმინაციამდე და მათზე დომინირებამდე. ოჯახური ძალადობის არსზე საუბრის ფარგლებში, გამართლებულია განსაკუთრებული ყურადღებიანობა სწორედ რომ ქალთა მიმართ

---

[23] *კოჭლამაზაშვილი ბ.,* ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 49.
<https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

[24] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017,57.
<https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

[25] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 65.
<https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

ძალადობაზე იმდენად, რამდენადაც ზემოხსენებული კონვენციის პრეამბულაშივე აღნიშნულია, რომ ოჯახში ძალადობის დროს გაცილებით ხშირად იჩაგრებიან ქალები, ისინი იმყოფებიან მათ მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის განხორციელების გაცილებით მაღალი რისკის ქვეშ, ვიდრე მამაკაცები. მართალია, სწორედ მამაკაცები გვევლინებიან უმეტესად აგრესორის როლში, რასაც ძალადობის მსხვერპლი ქალები დუმილით პასუხობენ.[26] თუმცა ცხადია, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მამაკაცებიც შეიძლება გახდნენ.

ამდენად, საკითხის ანალიზის ფარგლებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ისტორიულ კონტექსტსა და საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ მანკიერ შეხედულებებზე საერთაშორისო-სამართლებრივ ასპარეზზე არსებულ აქტებშიც ხდება აქცენტირება.

ოჯახში ძალადობის გამომწვევევი ერთ-ერთი ფაქტორი შეიძლება იყოს არასწორი აღზრდაც. ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზად ძალადობასა და სტრესული ოჯახური კლიმატის გავლენაზე ყურადღებას ამახვილებენ იურიდიულ ლიტერატურაშიც, რის დასტურადაც უპირატესად სწავლების თეორიის ანალიზს იმოწმებენ. სწავლების თეორია გულისხმობს ცნობიერ და არაცნობიერ დაკვირვებას.[27]

განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების კულტურული იდეოლოგია ქალების წინააღმდეგ ძალადობას ზოგიერთ შემთხვევაში დასაშვებად მიიჩნევს. წარსულში რელიგიური და ისტორიული ტრადიციები არ კრძალავდნენ ცოლების დასჯასა და ცემას. განსაკუთრებით, ნებადართული

---

[26] *CRowell N. A., BuRbess A. W.,* UndeRstandinb Violence Abainst Women, National ReseaRch Council, Division of BehavioRal and Social Sciences and Education, Commission on BehavioRal and Social Sciences and Education, Committee on Law and Justice, Panel on ReseaRch on Violence Abainst Women, NATIONAL ACADEMY PRESS, Washinbton, D.C. 1996, P. 49.

[27] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 63.

იყო ქალების ფიზიკური დასჯა, რაც მათზე საკუთრების შეგრძნების გამოხატულებად ითვლებოდა. ზოგიერთ საზოგადოებაში, ტრადიციულად, დასაშვებია "გზას აცდენილი" გოგონების, დების, ცოლების მოკვლა, თუკი ისინი ოჯახის თანხმობის გარეშე დაქორწინდებიან ან გაშორდებიან.

საზოგადოებისაგან ქალების იზოლაცია წარმოშობს მათ წინააღმდეგ ძალადობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ქალებს ნაკლები კონტაქტი აქვთ საკუთარ ოჯახებთან და ადგილობრივ ორგანიზაციებთან. ქალების სოციალურ კავშირებში ჩართვა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ პოტენციურ მსხვერპლად ქცევის რისკს და მეტ საშუალებას აძლევს, თვითონვე დაძლიონ ოჯახური ძალადობის პრობლემა. ეს კავშირები შეიძლება იყოს არაფორმალურიც (ოჯახი და მეზობლები) ან ფორმალური (საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ქალთა თვითდახმარების ჯგუფები ან პოლიტიკურ პარტიებთან არსებული ჯგუფები).
გამოყოფენ შემდეგ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც წარმოშობს ოჯახში ძალადობას:

კულტურული: მოსაზრება, რომ მამაკაცი ყოველთვის უნდა ბატონობდეს ქალზე; ღირებულებები, რომლებიც მამაკაცს ქალსა და გოგონაზე მესაკუთრის უფლებებს სძენს; მოსაზრება, რომ ოჯახი არის მამაკაცის დაქვემდებარების ქვეშ არსებული კერძო სფერო; ქორწინების ჩვეულებები (პატარძალზე დაწესებული ფასი/მზითვი);

ეკონომიკური: ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე; ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; დისკრიმინაციული ხასიათის კანონები, რომლებიც არეგულირებს მემკვიდრეობის, საკუთრების უფლების, განქორწინებისა და მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქონების მიღების საკითხებს; სახელმწიფო თუ კერძო სექტორებში დასაქმების ნაკლები პერსპექტივა; განათლების მიღების ნაკლები პერსპექტივები.

ზოგ ქვეყანაში ქალების მზარდი ეკონომიკური აქტივობაც კი ოჯახური ძალადობის მიზეზი ხდება. მეუღლეთა დამოუკიდებლობას მამაკაცები საფრთხედ აღიქვამენ, განსაკუთრებით, თუკი მამაკაცი პარტნიორი უმუშევარია და მას ოჯახში საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის ეშიანია.

სამართლებრივი: დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით აღიარებული ქალთა ნაკლები სამართლებრივი სტატუსი; განქორწინების, ბავშვებზე მეურვეობის, მათზე მზრუნველობისა და მემკვიდრეობის საკითხების მარეგულირებელი დისკრიმინაციული კანონმდებლობა; ქალებში სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე; პოლიციისა და სასამართლოს მხრიდან ქალებისა და გოგონების მისამართით განხორციელებული უტაქტო მოპყრობა.

პოლიტიკური: ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ხელისუფლებაში, პოლიტიკაში, მედიაში, სამართალდამცავ ორგანოებსა და სამედიცინო სფეროში;

1.5. მოძალადის სახე, მისი მახასიათებელი თავისებურებანი

მოძალადესთან დაკავშირებული სამართლებრივი თუ ფიქოლოგიური ასპექტები განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო წლებში გამოვლენილი უამრავი ძალადობის გამოვლენის ფონზე.[28] ოჯახში ძალადობა ორ სუბიექტს

[28] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 62.

შორის - მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობაა.[29] სამართალდამცავი ორგანოები, ფსიქოლოგები და დაცვის ორგანიზაციები ძირითად ყურარებას მსხვერპლის დაცვაზე, მის რეაბილიტაციასა და მსგავს საკითხებზე ამახვილებენ, რა დროსაც მოძალადე, თავისი განცდებითა და სამართლებრივ-ფსიქოლოგიური მდგომარეობით ყურადღების მიღმა რჩება.[30]

საყურადღებბოა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორის მიერ ოჯახური ძალადობა სიძულვილის დანაშაულად არის მოხსენიებული იმდენად, რამდენადაც ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე არის ადგილი, სადაც ყველაზე დაცულად უნდა იგრძნოს ადამიანმა თავი.[31]

მოძალადის სახის პარადიგმულ ნიშნებზე საუბრის ფარგლებში საყურადღებოა ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ოჯახური ძალადობაში ბრალდებული პირი უარრესად ნანობს მის მიერ ჩადენილ ქმედებას, რაც, როგორც წესი, გამოწვეულია მისი, როგორც ინდივიდის გაუწონასწორებელი ემოციური და თავშეუკავებელი მდგომარეობიდან. აღნიშნულ შემთხვევასთან მიმართებით, იურიდიულ ლიტერატურაში გამოტქმულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც ამგვარად შექმოლ პირობებში მხდველობაში უნდა იქნეს მიღებული, ერთი მხრივ, ოჯახის წევრებისათვის შესაძლებლობის მიცემა, გნაგრძონ მათ ოჯახური თანაცხოვრება, უნდა შეფასდეს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, მისი წარსულში ნასამართლეობის საკითხი, არის ეს პირველი შემთხვევა ძალადობისა თუ ამას სისტემური ხასიათი აქვს, არის

---

[29] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 61.
<https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

[30] იქვე.

[31] *ივანიძე მ.,* ოჯახში ჩადენილი დანაშული, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, 53.

თუ არა დასაქმებული და როგორია მისი საერთო დახასიათება.[32] თუმცა მეორე მხრივ, შეფასებული უნდა იქნეს ის მნიშვნელოვანი რისკები, რომელიც დანაშაულის გაგრძელებას უკავშირდება.[33] მნიშვნელოვანია, რომ ასეთ დროს გონივრულად შეფასებული იყოს ბრალდებულის გულწრფელობა.[34]

ძირითადად, მოძალადეს ქმნის გარემო, ანუ ძალადობრივ გარემოში ბავშვობიდან ყოფნა.[35] მოძალადეს გამძაფრებული აქვს პირადი თავისუფლებისა და სხვებზე ბატონობის შეგრძნებები, რაც ძალადობის სახეს იღებს.[36]

ძალადობა აღიარებულია მიზანმიმართულ ქმედებად. მოძალადის სახე ამ პროცესში ვლინდება იმდენად, რამდენადაც იგი თავის მოთხოვნილებათა რეალიზებას ახდენს თავისი უმაღლესი ძალაუფლების დემონსტრირებაში მსხვერპლის მიმართ.[37] ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია მოძალადემ აგრესიული ქცევის ალტერნატიული ფორმა ეძიოს, რომელიც საშუალებას მისცემს მას მოახდინოს საკუთარი ქცევის კორექცია. საკითხის ამ ნაწილზე საუბრის ფარგლებში არსებითია ყურადღების გამახვილება ფსიქოდინამიური თეორიის იმ მნიშვნელოვან აქცენტზე, რომლის თანახმადაც, ოჯახური ძალადობა ფსიქოდინამიური თავდაცვითი პროცესის შედეგობრივი მაჩვენებელია. უფრო ზუსტად, მოძალადე პერსონა, რომელიც თვითონ გამხდარა ბავშვობაში ძალადობის

---

[32] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017,71-72.

[33] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 75.

[34] იქვე.

[35] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 66.

[36] *ბოჭორიშვილი კ., ლორია ა.,* პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი 2009, 9. გამომცემლობა სანახავია.

[37] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 58.

ან მზრუნველობის დეფიციტის მსხვერპლი, თავადაც უნდობლობით განაწყობს ოჯახის წევრთა მიმართ. ამდენად, მოძალადეები საკუთარი ოჯახს წევრებისაგან ითხოვენ იმ მზრუნველობას, ყურადღებასა და პატივისცემას, რაც მათ ბავშვობაში დააკლდათ.[38]

ოჯახში არსებულმა ნეგატიურმა გარემომ შესაძლოა იმოქმედოს საზოგადოებაზე და მომავალ თაობაზე (ოდნავ შეცვალე) ბავშვი რომელიც იზრდება დაძაბულ ოჯახური ურთიერთობების ფონზე მკვეთრად განსხვავდება იმ მოზარდებისაგან, რომლებიც იზრდებიან მშვიდ ოჯახურ გარემოში.[39] ცხადია, ოჯახში არსებულმა დაძაბულმა, რიგ შემთხვევაში, სტრესულმა გარემო-პირობებმა, სადაც მოზარდი, როგორც წესი დროის საკმაოდ დიდ ნაწილს ატარებს მნიშვნელოვნად უარყოფითად იმოქმედოს მასზე. შესაძლოა ამგვარმა ფსიქოლოგიურმა განცდებმა ბავშვი სამომავლოდ მოძალადედაც კი ჩამოაყალიბოს.[40]

ამდენად, ოჯახში მშობლების ძალადობაზე დაკვირვებით ბავშვების გარკვეული ნაწილი დაზარალებულის ქცევას სწავლობს, ხოლო გარკვეული ნაწილი მოძალადის ქცევას, რასაც შემდგომში თვითონაც იყენებენ.[41] გონივრულია მივიჩნიოთ, რომ მოძალადის სახეზე, მის პერსონაზე დაკვირვება სწორედ ამ ასპექტების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, რამეთუ ის გარემო ფაქტორები, რომელსაც ხშირად ასევე ძალადობის მაპროვოცირებელ იმპულსებად მიიჩნევენ ხოლმე უპირატესად დაკავშირებულია ოჯახის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობასთან.

საკითხზე საუბრის ფარგლებში საყურადღებოა ასევე ოჯახში ძალადობის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორზე, რომელიც ბავშვის აღზრდის საკითხს

---

[38] *შალიკაშვილი მ.,* ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, გამომცდმლობა „მერიდიანი“ 2012, 98.

[39] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 65. <https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

[40] იქვე.

[41] *შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ.,* არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციალური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2011, 23.

უკავშირდება. ამასთან, მოძალადე ისწრაფვის დაამყაროს და შემდგომ შეინარჩუნოს ძალაუფლება მსხვერპლზე და ჰყავდეს იგი კონტროლის ქვეშ ფიზიკური ძალის, მუქარის ან ფსიქოლოგიური ზეწოლის დახმარებით.[42]

1.5.1. მსხვერპლის სახე და მისი პარადიგმული მახასიათებლები

ოჯახური ძალადობა ორი სუბიექტის - მოძალადისა და მსხვერპლის კორელაციაა, სადაც ოჯახის ერთი წევრი - მოძალადე, ოჯახის სხვა წევრზე - მსხვერპლზე ახორციელებს გარკვეული სახის ძალადობას. ოჯახური ძალადობის, როგორც განსაკუთრებით საშიში „პირადი" საქმის სახით შეფუთული სამართლებრივი პრობლემის სიღრმისეული ანალიზის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მსხვერპლის სახეზე, მის სამართლებრივ თუ ფსიქოლოგიურ მახასიათებზე საუბარი, არამედ მსხვერპლის პარადიგმულ ნიშნებზე ყურადღების გამახვილება.

როგორც წესი, მსხვერპლს სახეს მსხვერპლად სწორედ მოძალადე აყალიბებს. აღნიშნული განპირობებულია მოძალადის იმგვარი ქცევით, რომელიც სრულიად ამოვარდნილია საზოგადოების მიერ მორალურ-ეთიკურად მოსაწონი კრიტერიუმებიდან, უფრო მეტიც, იგი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობით გარანტირებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცულ სფეროსთან მიმართებით.

მართალია ოჯახური ძალადობის ყოველი ცალკეული შემთხვევა განსხვავებული გარემო-ფაქტორებით, ქცევის სისტემურობითა და ზემოქმედების ხარისხით ხასიათდება, თუმცა ერთი რაც ცხადია, ოჯახური ძალადობის მსხვერპლს ამგვარი ძალადობის პირობებში უვითარდება ე.წ „მძევლის სინდრომი".[43] „ ამ სინდრომის წარმოშობასა და გაღვივებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შემდეგი გარემოებები:

---

[42] *Adams, D.*1998. `TReatment Models of men Who BatteR: A PRofeminist Analysis" In K.YIIo &M.BobRad (eds) Feminist PeRspectives on WIfe Abuse.NewbuRy PaRk,pp.176-199.

[43] ე.წ „მძევლის სინდრომი" მოძალადისათვის სოლიდარობის გამოცხადებაში ვლინდება.

- ხანგრძლივი სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრება მსხვერპლის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს;
- მოძალადის ხელში ყოფნა და გაქცევის შანსის არ არსებობის გრძნობა;
- ძალადობის მსხვერპლის რწმენა, რომ მოძალადე აფასებს მის ქცევებს,აჯილდოვებს მას „კარგუ“ საქციელისათვის და სჯის „ცუდი“ საქციელისათვის. ამგვარი მდგომარეობა იწვევს ძალადობის მსხვერპლის სრულ კონცენტრირებას კითხვაზე, თუ რა სახის საქციელი აკმაყოფილებს მოძალადეს ყველაზე მეტად, ყოველივე ამას მივყავართ მოძალადისადმი სოლიდარობის გამოცხადებამდე.“[44]ამდენად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი „მძევლის სინდრომით„ ყველანაირად ცდილობს ერთგვარად ადაპტირდეს მოძალადის მიერ მისთვის ვერბალური თუ არავერბალური გზით წაყენებულ მოთხოვნებთან და მშვიდობიანი თანაცხოვების მიღწევის მიზნით მოძალადისაგან მუდმივად დაიმსახუროს „შექება“ მისთვის სასურველი ქცევის განხორციელებისათვის.

ოჯახში ძალადობა შედეგობრივი თვალსაზრისით, თავისთავად ნეგატიურად აისახება სოციუმზე, რომელთან ერტადაც თანაცხოვრობს ოჯახში მოძალადე, თუმცა ამ შემთხვევაში საყურადღებოა უშაულოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომრეობის შჭედეგობრივი ასპექტები, რომელიც განიცდის ხანგრძლივ და სსტემატურ ძალადობას ოჯახის რომელიმე წევრისაგან. ოჯახში ძალადობა ყველაზე მძიმე შედეგებით აისახება მსხვერპლის ფსიქოლოგიურ სახეზე, რომლის ჯანმრთელობა და ფსიქიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება ძალადობრივი პროცესების მიმდინარეობისას. ამასთან, აღნიშნული ნეგატიურად აისახება მსხვერპლის ურთიერთობის უნარზე, პროფესიულ

[44] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 62.

კონკურენტუნარიანობაზე, ცხოვრების დონეზემ ოჯახური ცხოვრების ხარისხზე და ა.შ.[45]

პრაქტიკა მოწმობს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები დახმარებისათვის არავის მიმართავენ მანამდე, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მსხვერპლის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება.[46]

ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ მსხვერპლის მხრიდან გაჟღერებული მცირე ქარაგმაც კი საკმარისია იმისათვის, რო მ ეს მომალადემ მასზე ძალაუფლების დაკარგვის საფრთხდ აღიქვას და უფრო მეტი ძალადობის საფუძველი გახდეს.[47]

---

[45] *პეტაი ი.,* სოციოლოგიის პრიზმიდან დანახული ოჯახური ძალადობა, თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი“, 2016, 19. შემდგომი მითითებით: *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 63.

[46] *კოჭლამაზაშვილი ბ.,* ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 55.

[47] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 62.

თავი 2. ოჯახური ძალადობის კრიმინოლოგიური პრევენცია

2.1. ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების საერთო და სპეციალური ღონისძიებები

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში დეტალურადაა გაწერილი ოჯახში ძალადობისას პოლიციის მუშაკთა სწრაფი რეაგირების ინსტრუმენტები, როგორიცაა შემაკავებელი ორდერის გამოცემა, მსხვერპლის ან/და მოძალადის გარიდება შემთხვევის ადგილიდან, საჭიროების შემთხვევაში მსხვერპლის თავშესაფარში გადაყვანა და მისი განთავსება იქ გარკვეული ხანით. საკითხის ამ ნაწილზე საუბრის ფარგლებში არსებითად მნიშვნელოვანია შევეხოთ იმგვარ მოცემულობას, რომესაც, სამწუხაროდ, პოლიციის მუშაკები ხშირად აწყდებიან ოჯახური ძალადობის დანაშაულის აღმოფხვრისა და მასთან ეფექტიანად ბრძოლის მცდელობის გზაზე, საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც მსხვერპლი სოლიდარობას უცხადებს მოძალადეს და ძალადობის ფაქტის გამოოჯახში მისული პოლიციის თანამშრომელი სწორედ მსხვერპლის მხრიდან აწყდებიან წინააღმდეგობას, რადგანაც მოძალადესთან კომპლექსურ ურთიერთობაში მყოფ მსხვერპლს არ სურს დადგენს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. . თავის მხრივ, მსხვერპლისა და მოძალადის კომპლექტურის ურთიერთობა მოიცავს ყველა იმ ეკონომიკურ, სოციალურ თუ ემოციურ ფაქტორს, რომელიც, როგორც წესი, მათი, რგორც ოჯახის წევრების დამაკავშირებელი ფაქტორებია. საყურადღებოა ისიც, რომ მსხვერპლს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ

ისინი არ ამბობენ ცალსახა უარს მსხვერპლისაგან გათავლისფლებაზე, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვევებულად ვლინდება, იქნება ეს შესაბამისი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა, ძალადობრივი გარემო-პირობების თმენა და დუმლი თუ სხვა. ასეთ პირობებში არსებითად მნიშვნელოვანია, რომ მხედველობაში მივიღოთ მსხვერპლის პასიურობის გამომწვევი მიზეზი, რაც უპირატესად ძალადობის შედეგია. მოძალადისადმი განსაკუთრებული შიში სწორედ რომ ოჯახში ძალადობის ერთიანი ჯაჭვის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანსესი და ამასთანავე, მისთვის დამახასიათებელი პარადიგმული ნიშანია.

ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი უნდა გახდეს მოძალადეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, მათ ცნობიერების ამაღლება და სხვა პრევენციული ზომების გამოყენება.[48]

მნიშვნელოვანია შემუშავდეს მოძალადეთა რეაბილიტაციის არსებითი კონცეფცია, რომელიც განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება და მიემართება იმ უპირატესი მიზნის რეალიზებას, რაც მოძალადის ქცევის კორექციას, ოჯახური ღირებულებების, ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას, ყოველგვარი ძალადობისაგან თავისუფელ ცხოვრებას გულისხმობს.[49]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უმჯობესი იქნებოდა ოჯახური ძალადობის მედიაციის შემოღება, რაც ხელს შეუწყობდა ოჯახის შენარჩუნებას. [50] მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების

---

[48] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 62..

[49] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 61.

[50] *შალიკაშვილი მ.,* ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012, 86-87.

მიზანშეწონილობა ოჯახური ძალადობის არსებობის პირობებში ვლინდება იმდენად, რამდენადაც მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი, მოიცავს არა მხოლოდ მხარეთა შორის დავის ეფექტიანად გადაწყვეტის შესაძლებლობას, არამედ – მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების ფსიქოლოგიასაც.[51] ამასთან, გერმანელი კრიმინოლოგებიმედიაციას მიიჩნევენ ისეთი სახის ღონისძიენებათა და რეაბილიტაციის ფორმათა ერთობლიობად, რომლის მიზანი დანაშაულიდან წარმოშობილი კონფლიქტის მოგვარებაა.[52] გასათვალისწინებელია ისიც, რომ მედიაციით ხორციელდება არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მსხვერპლის რეაბილიტაცია და რესოციალიზაციაც.[53]

ფორმულირებული, მოწოდებული არის იმგვარად თითქოს ის ეხება ერთ კონკრეტულ ოჯახს, თუუმცა და მოძალადე რომელიც ოჯახის რომელიმე წევრის მიმართ ახორციელებს ძალადობას ისეთივე საშიშია ოჯახს გარეთ, საზოგადოებაში, როგორც ოჯახში. შესაბამისად, დანაშაულის ის კონსტრუქცია, რომელიც ოჯახში ძაალდობას გულისხმობს გაცილებით დიდ საფრთხეს და სამომავლო რისკებს შეიცავს, რომელიც როგორც წესი „პირადი“ ან „ოჯახური“ საქმის სახელით ურთიერთობის დასაშვებ ფორმად არის წარმოდგენილი.

იყო მოსაზრება, რომელიც ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთ, ეფექტიან და გონვრულ მექანიზმზმის გამოყენებას უკავშირდებოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რეალურად დღეს საქართველოში არსებობს ყველა ის ბერკეტი, რომ მსხვერპლის უფლებები

---

[51] *მაისურაძე თ.,* თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპთა ურთიერთმიმართება მედიაციის ეთიკური ურღვეობის უზრუნველყოფის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019 სპეციალური გამოცემა“, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 160.

[52] *შალიკაშვილი მ., მიქანაძე მ.*, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016, 90.

[53] *ლეონიძე ი.,* განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციონირების ცალკეული სამართლებრივი ასპექტი, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019 სპეციალური გამოცემა“, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 128.

იქნეს შესაბამისი ხარისხით დაცული, მაგრამ ამასთანავე დღეის მდგომარეობით საზოგადოების ცნობიერება არ დგას იმ საფეხურზე, რომ მსხვერპლმა გადადგას ნაბიჯი და საზოგადოებას სთხოვოს დახმარება.[54]

ამდენად, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული უნდა იყოს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მედია, პრესის საშუალებები, ფსიქოლოგები, რადგან ოჯახური ძალადობა მხოლოდ კონკრეტული ოჯახის პრობლემა კი არა, არამედ მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს მწვავე პრობლემაა, რადგან ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, რაც გარკვეულწილად ქმნის სახელმწიფოს სახელმწიფოში.[55]

იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის პრევენციას, აუცილებელია ჩატარდეს კვლევა საქართველოს მასშტაბით, თუ რამდენ საქმეზე დადგა მოძალადის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, რა სახის სასჯელი განესაზღვრათ მოძალადეებს, რამდენ მათგანში მოხდა რესოციალიზაცია და რამდენი მათგანი მიეცა განმეორებით პასუხისგებაში ძალადობის ფაქტის განმეორების გამო.[56]

სახელმწიფოს მოვალეობაა გააქტიუროს ყველა შიდა მექანიზმი და რესურსი მიმართოს ძალადობის შემტხვევაში მსხვერპლთა მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნებისთვის. სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამიმსი საკანონმდებლო მზაობა, რაზე დაყრდნობითაც შემდგომში უნდა გატარდეს ყველა შესაძლო ღონისძიება რაც სრული სისავსით

---

[54] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 62.

[55] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017,73.

[56] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 72.

დაანახებს დაგააცნობიერებინებს მოძალადეს საკუთარი ქმედების დანაშაულებრივ ხასიათს.

სტატისტიკის შესაბამისად, ოჯახური ძალადობს საქმეების განხილვის ფარგლებში დომინანტ ადგილს იკავებს აღკვეთის ღონისძიების პატიმრობა, მას მოჰყვება გირაო და სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიენები. ხშირად პირი დატოვებულია საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშეც.[57]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2012 წელს დაემატა 126 1 მუხლი, რაც გულისხმობს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობას, სისტემურ შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტაჯვა. დანაშაული ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთიტ ვადით ერთ წლამდე, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადებუია წინასწარი შეცნბით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონდე პირის ან ორსული ქალის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად; არაერთგზის, - ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან ტავსიუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.“[58]

ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულაციით მოხდა ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში სისტემატიზაცია.[59] იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრების თანახმად, ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ასპექტები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით

---

[57] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 69

[58] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 126 პრიმა მუხლის ახ. რედ დასამოწმებელია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=221>

[59] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 68.

გათვალისწინებული რეგულაციის დადებით ნიშანთა წრეს მოიცავს, ერთი მხრივ, ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში მოქცევა და მისი სისტემატიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, ქმედებისთვის ადეკვატური სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის მინიჭება.[60] საყურადღებოა ისიც, რომ დადებითად უნდა შეფასდეს სისლისსამართლებრივი რეგულაციის ის დადებითი ეფექტი, რომლის ძალითაც ოჯახში მოძალადე იგრძნობს, რომ იგი მოძალადეა და ამასთანავე, იგი დააშინებს პოტენციურ მოძალადეებს.[61]

მეორე მხრივ, მხედველობაშია მისაღები, რომ ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულაცია ხელს უშლის ოჯახის შენარჩუნებას, ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირებაა მოძალადეს უკარგავს ოჯახურ ურთიერთობებში დაბრუნების შესაძბელობას, რამეთუ იგი შეუძლებლად მიიჩნევს პოლიციაში დამსმენთან ერთად მომავალში ცხოვრებას.[62]

ოჯახში ჩადენილი ძალადობა ერთ-ერთი გავრცელებული და სპეციფიკური დანაშაულის ფორმაა. რამდენადაც წინამდებარე ნაშრომში აღინიშნა, ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზებთა შორის განსაკუთრებულ ადგილს საზოგადოებრივი ცნობიერების საკითხი იკავებს. ამდენად, გონივრულია ბრძოლა სწორედ ამ მანკიერ ცნობიერებასთან ბრძოლით დაიწყოს. ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია, რომ ოჯახში არსებული ძალადობა განხილულ იქნეს ერთ-ერთ რთულ და საშიშ მოვლენად.[63]

საქართველოს სახელმწიფოს ძირითადი კანონი გარანტირებულს ხდის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს ადამიანის ღირსების ხელშეუვალობას და

---

[60] *შალიკაშვილი მ.,* ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, გამომცდმლობა „მერიდიანი“ 2012, 86.

[61] იქვე.

[62] იქვე, 87.

[63] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 65. <https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

ადგენს, რომ მას იცავს სახელმწიფო.[64] ამასთან, დაცულია ადამიანის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა.[65] სახელმწიფოს ძირითადი კანონით განმტკიცებულია საერთაშორისო სამართლებრივი ღირებულება, პრინციპის დონეზე აყვანილი კანონსწინაშე თანასწორობა[66] და ადამიანის თავისუფლება[67], რომელიც ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. ამდენად, ოჯახური ძალადობა შესაძლოა მიჩნეული იქნეს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის უფლებათა დარღვევად,[68] იმდენად, რამდენადაც იგი ერთდროულად ხელყოფს ადამიანის ღირსებას, ჯანმრთელობასა და შესაძლოა თავად უზენაეს სამართლებრივ სიკეთეს, სიცოცხლესაც. გარდა ამისა, არსებითად მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის ღირებულებითი სხეული ასევე მოიცავს დანაწესს, რომლის თანახმადაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახურ კეთილდღეობას, მშვიდობას.[69]

პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელებაზე გონივრულ ფარგლებში ეკისრება სახელმწიფოს.[70]

სახელმწიფოს ოჯახში ძალადობის მწვავე პრობლეიმასთან ბრძოლის ასპარეზზე, ერთი მხრივ, პოზიტიური ვალდებულება ეკისრება, რაც ავალდებულებს მას დაიცვას ინდივიდი მესამე პირთა მხრიდან განხორციელებული ძალადობისაგან, ხოლო მეორე მხრივ, ნეგატიური

---

[64] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 9(1).
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

[65] იქვე, მუხლი 10.

[66] იქვე, მუხლი 11(1).

[67] იქვე, მუხლი 13(1),

[68] *გოგუაძე ე.,* აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 65.

[69] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5(4), მუხლი 15(1).
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

[70] *კოჭლამაზაშვილი ბ.,* ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 49.
<https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtualN2.pdf>

ვალდებულება, რაც გულისხმობს სახელმწიფო ვალდებულების ისეთ კომპონენტს, რომ მან თავად არ ხელყოს ადამანის უფლებები.

საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ოჯახში ძალადობის სამართლებრივ პრობლემასთან მიმართებით ჩამოყალიბებული ხედვა. არაერთი საჩივარი იქნეა გაგზავნილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთა შესახებ სასამართლოს მერ გაკეთებული შეფასებები შესაძლებლობას იძლევა ოჯახური ძალადობის, როგორც სპეციფიკური დანაშაულის სამართლებრივი ბუნების გამორკვევისა და სახელმწიფოსთვის იმ სახელმძღვანელო სტანდარტების სიღრმისეული გააზრებისა, რომლითაც უნდა მოხდეს ლავირება აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნებისთვის.

საქმეზე ერემია ს საქმის არსეი მდგომარეობდა იმაში, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა პოლიციელი ქმრისა და მამის ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი ქმედებებისაგან. სასამართლომ წინამდებარე საქმეში განმარტა, რომ მიუხედავად ძალადობის შესახებ ინფორმაციის ფლბისა, ხელისუფლებამ ვერ გაატარა ეფექტიანი ღონისძიენებბი, მსხვერპლის ქმრის შესაკავებლად. სასამართლოს შეფასებით სახელმწიფოს მიერ ძალადობის შეკავების მიზნებისთვის არ გადადგმულა ეფექტიანი ნაბიჯები. განსაკუთრებით საყურადრებოა, რომ სასამართლოს შეფასებით ხელისუფლების დამოკიდბეულება წარმოადგენდა ძალადობის პატიებას.[71]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ ოჯახში ძალადობის საქმესთან დაკავშირებით, დაადგინა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის ფაქტი. სასამართლოს შეფასებით ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით

[71] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება - ერემია მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ *(Eremia v. the Republic of Moldova)* <https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22languageisocode%22:[%22GEO%22],%22appno%22:[%223564/11%22],%22documentcollectionid2%22:[%22CHAMBER%22],%22itemid%22:[%22001-198979%22]}>

ხაზგასმა მოხდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე ისეთ პირობებში, როდესაც იგი ინფორმირებულია ძალადობის ფაქტის არსებობის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამავე გადაწყვეტილებაში დაადგინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-3 მუხლის[72] დარღვევა, ხელისუფლების ორგანოთა უუნარობის გამო, ადექვატური პასუხი გაეცა ისეთი სერიოზული დანაშაულისთვის როგორიცაა ოჯახში ძალადობა.[73]

ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის სირთულე და გამოძიების სპეციფიურობა. ოჯახური ძალადობის სპეციფიურობა ვლინდება იმდენად, რამდენადაც იგი ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს შორის ხორციელდება. საყურადღებოა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ოჯახში ძალადობის დროს მსხვერპლისათვის მიყენებული ტრავმის ხარისხი გაცილებით მაღალია, რაც განპირობებულია იმითაც, რომ მოძალადისათვის მსხვერპლი

მუდმივად მისაწვდომია, ეს კი ნებისმიერ დროს შესაძლებელს ხდის მასზე თავდასხმის განხორციელებას, როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს გამოხატული იგი. [74]

საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევები მხოლოდ სპეციალური კანონით (`ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”) არ რეგულირდება; ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმებიც, კერძოდ:

---

[72] Council of Europe (2008). Final Activity Report: Council of Europe Task Force to Combat Violence against Women. Strasbourg: Cou

[73] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილება - ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ *(OPUZ v. TURKEY)*
<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-121971>

[74] *მეტრეველი ლ.,* ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,
„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017, 57.

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი;

სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი. ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად:

1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვისაც.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდარღვევა, კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს კანონიც, ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, დამცავ და შემაკავებელ ორდერებს იყენებს.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც ასევე განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება: მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები; მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები; მოძალადისთვის თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა; მოძალადისთვის ბავშვისაგან განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები; მოძალადის მიახლოება მსხვერპლთან, მის სამსახურთან და სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება; სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელს ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება. დღეს საქართველოში სახელმწიფო თავშესაფარი არ გვაქვს. არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრები მსხვერპლთა დახმარებასა და რეაბილიტაციას დონორი/საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით უზრუნველყოფენ.

ოჯახში ძალადობა საფრთხეს უქმნის და მავნე გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. აღნიშნული სოციალური პრობლემა აღწევს საამუშაო ადგილასაც და ნეგატიურად მოქმედებს მსხვერპლსა და თანამშრომლებზე, რასაც თან სდევს პროდუქტიულობის დაცემა, გაცდენების ზრდა.

ყველას აქვს უფლება იმუშაოს ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში. სამსახურში ნებისმიერი ხელმძღვანელობის უშუალო ინტერესში შედის ძალადობის პოტენციის გამორიცხვა სამუშაო ადგილას. ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მსხვერპლადქცეული მომსახურე პერსონალის დახმარების მიზნით ინდივიდუალიზირებული უსაფრთხოების გეგმის იმპლემენტაციას სამსახურში.

საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედებს არადისკრიმინაციული პოლიტიკა სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით. დადგენილი წესების თანახმად, საკადრო პოლიტიკა არ უნდა დაეფუძნოს ვარაუდს ან ინფორმაციას, რომ პირმა განიცადა ან მოექცა ოჯახში ძალადობის ზეგავლენის ქვეშ.

ასევე გათვალისწინებულია ტრეინინგების ჩატარება მომსახურე პერსონალისათვის ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც მიზნად ისახავს მოსამსახურეთათვის სწორი მიმართულების მიცემას და უსაფრთხოების ზომებით უზრუნველყოფას. ფსიქოლოგიური თვითდაცვის მექანიზმი ერთ-ერთია სხვათა შორის, რომელიც ეხმარება პიროვნებას შეიქმნას ემოციურად ნეიტრალური მდგომარეობა. ფსიქოლოგიური თვითდაცვა არის ადამიანის ფსიქიკის რეგულაციის სისტემა, რომელიც მიმართულია კონფლიქტური სიტუაციების მოხსნაზე ან შემცირებაზე. იგი იცავს პიროვნებას ნეგატიური ემოციებისაგან.

ოჯახში ძალადობა კომპლექსური პრობლემაა და არ არსებობს სამოქმედო გეგმა, რომელიც ყველა სიტუაციას მოერგება. თუმცა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დახმარების დროული და ეფექტური აღმოჩენის სისტემის შექმნა ოჯახში ძალადობის აღკვეთის მექანიზმის მთავარი დანიშნულებაა.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები შემდეგ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს:

• საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის პრობლემასთან დაკავშირებით;

• ოჯახში ძალადობის პრევენცია;

• იმ ოჯახების იდენტიფიცირება, სადაც ეს პრობლემა არსებობს;

• ადრეული ინტერვენცია;

• მსხვერპლთა დაცვა;

• მსხვერპლთა ხელშეწყობა, ახალი ცხოვრების დაწყებაში დახმარება;

2.2.ოჯახში ძალადობის ვიქტიმოლოგიური პროფილაქტიკა

ჩამოთვლილი თეორიებიდან ზოგიერთი მიზეზს მოძალადის პათოლოგიურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში თუ მის ძალადობრივ წარსულში ეძებდა, ხოლო ზოგი ძალადობის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად, დაუძლურებული მსხვერპლის პათოლოგიურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას მიიჩნევდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილ თეორიათაგან, ვერც ერთი ვერ ხსნის, არც ერთს აქვს ზუსტი პასუხი, თუ რა იწვევს საერთოდ ოჯახურ ძალადობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

ოჯახში ძალადობის 4 ძირითადი მახასიათებელი [75]არსებობს:

1. ძალადობის განგრძობადობა;
2. ზრდის ტენდენცია;
3. ძალადობის სუბიექტი და ურთიერთდამოკიდებულება
4. საზოგადოებისა და სამართალდამცავთა დამოკიდებულება

ოჯახში ძალადობის განვითარების დინამიკის ასახსნელად ყველაზე მეტად გავრცელებულია ლენორ ვოლკერის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ძალადობა მოიცავს ძირითად 3 ფაზას[76]:

---

[75]საერთაშორისო სამართლის ჟურნალი #1 ,2011 წ. მესხი მ. ,ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები გვ.64

[76] საერთაშორისო სამართლის ჟურნალი #1 ,2011 წ. მესხი მ. ,ოჯახში ძალადობა-პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები გვ.65-66

1. დაძაბულობის ზრდის ფაზა, როცა ურთიერთობაში თავს იჩენს დაძაბულობის ესკალაცია, სიტყვიერი შეურაცხყოფა და მსუბუქი ფორმის ფიზიკური ძალადობა.

2. ძალადობის სერიოზული ინციდენტი. ის ბევრად ხანმოკლეა, ვიდრე დაძაბულობის ზრდის ფაზა, რადგან რამდენადაც დაძაბულობის ზრდის ფაზა თუ თვეების და წლების განმავლობაში იზრდება, ძალადობის სერიოზული ინციდენტის ხანგრძლივობა 2 და 7 საათამდეა.

ამ ფაზაში მსხვერპლი უკვე კარგავს სიტუაციაზე კონტროლს და გადადის აქტიური თავდაცვის მოგერიების მდგომარეობაში.

3. მსხვერპლის მიერ ხშირ შემთხვევაში მოძალადისთვის ჩადენილის პატიებით იწყება მესამე ფაზა. ამ ფაზის გადატანით ,,თაფლობის თვის“ ფაზასაც უწოდებენ, რა დროსაც მსხვერპლს უჩნდება ილუზია, რომ მის ცხოვრებაში ყველაფერი სიკეთისკენ იცვლება, რის შემდეგაც ხელახლა იწყება ძალადობრივ წრეზე ბრუნვა, მანამ სანამ ,,თაფლობის თვის“ ფაზა საბოლოოდ არ გაქრება. ხსენებულ მესამე ფაზას ახასიათებს მსხვერპლის ფიქტიმიზაციის პროცესი, რა დროსაც მსხვერპლზე სრული კონტროლის მოსაპოვებლად მოძალადის მიერ გამოყენებული მეთოდების დახმარებით, მსხვერპლი ეგუება სიტუაციას და კარგავს ,,მე“-ს განცდას.

ძალადობის ასახსნელად არსებობს სხვადასხვა ტიპის კრიმინოგენული [77]თეორიები:

1. მაგალითისთვის: თუ ფროიდს დავუჯერებთ, ეროსის ანუ სიყვარულის ინსტიქტის გარდა ადამიანში ცოცხლობს მისგან რადიკალურად განსხვავებული სიკვდილის თანდაყოლილი ინსტინქტი და აგრესიაც. სწორედ სიკვდილის ინსტიქტის Thanatos, შემადგენელი ნაწილია ,ამას გარდა შეგვიძლია დავახასიათოთ ფლუსტრაცია - აგრესიის თეორია, სოციალურ-სტრუქტურული თეორიები, ანომიის თეორია, დასწავლის სოციალური თეორია და ა.შ.

[77] შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია ,2011 წ.გვ286

სიტყვა ვიქტიმოლოგია ლათინურიდან მსხვერპლს ნიშნავს, ხოლო მისი, როგორც მეცნიერების არსი გულისხმობს დანაშაულის მსხვერპლის შესწავლას.

გერმანელი მეცნიერები პიროვნების ვიქტიმოლოგიას ჰყოფენ 3 ეტაპად.

1 - ლადი ძირითადი 2. არაძირითადი 3. მესამედი ვიქტიმირება.[78]

პიროვნების პირველად ვიტიმირებად ითვლება დანაშაულის შედეგად მიყენებული ფსიქიკური, ფიზიკური და მატარიალური ზიანი.

რაც შეეხება მეორად, ანუ არაძირითად ვიქტიმირებას, იგი როგორც წესი ხორციელდება მსხვერპლთან ურთიერთობაში მყოფი არამოძალადე პიროვნებების გაკეთებული განცხადებებით ან მორალის წაკითხვით.

პიროვნების მესამედი ვიქტიმირება სახეზეა მაშინ, როცა დანაშაულის მსხვერპლს აღარ სჯერა, რომ სახელმწიფო თუ საზოგადოება სხვა მოსალოდნელ დანაშაულებებისგან მის დაცვას შეძლებს.

მეორადი და მესამეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოების მიერ რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება დამოკიდებულია სწორედ სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მცდელობაზე, სწორად შეაფასონ ვიქტიმიზაციის რისკები [79]და აგრეთვე სწორად წარმართონ საქმის მსვლელობა .

სახელმწიფოს მოვალეობაა ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, ამა თუ იმ უწყებაში დასაქმებულ მოხელეთა გადამზადება და ინფორმირება, მათ შორის მათი დატრენინგების გზით, რამდენადაც სწორედ მოხელეები არიან ვალდებულნი შეძლონ ოჯახური ძალადობის

---

[78] შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია ,2011 წ.გვ287 და შემდგ.

[79]ფემიციდი - დისკრიმინაცია. დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, კავშირი საფარი.გვ 27

ფაქტებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება, მსხვერპლის გადამისამართება საჭიროების შემთხვევაში მისთვის სრულყოფილი სამართლებრივი დახმარების გაწევა.

როგორც ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, საქართველოს შემთხვევაში პროკურატურის და საგამომძიებლო ორგანოების მიერ დაზარალებულთა არაეთიკური კითხვის დასმით ხშირად ხდება მსხვერპლის მეორეული [80]ვიქტიმიზაცია.

გარდა ამისა, მსხვერპლის უნდობლობა სამართალდამცავი სისტემის მიმართ და კონფიდენციალობის შიში უშუალო ზეგავლენას ახდენს მიმართვიანობის სიხშირეზე, მეორეულ ვიქტიმიზაციის ასპექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2018 წლის 4 მაისის საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში განხორციელებული ცვლილება, მათ შორის დაემატა მე-7 პრიმა თავი ,,მოწმის ან დაზარალებულის კოორდინატორი". მისი ფუნქციაა სწორედ მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, რათა ოჯახური ძალადობის მსხვერპლს, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ისედაც ბევრ ფსიქოლოგიურ ბარიერს აწყდება, უმარტივდება პროცესში ჩართვა, უმცირდება დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესი, რის გამოც ვფიქრობ, მითითებული ცვლილება, რომელიც განხორციელდა საპროცესო კანონმდებლობაში, მისასალმებელია.

საერთაშორისო მიდგომის თანახმად, ვიქტიმიზაციის პროფილაქტიკისთვის განსაკუთრებული როლი ეკისრებათ პროკურორებს, [81]როგორც ბრალდების მხარის წარმომადგენლებს. მათ ევალებათ

---

[80] . ოჯახში ძალადობა, სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლა.გვ36

[81] **Handbook on effective prosecution responses to violence against women and** girls გვ44

მსხვერპლს მოექცნენ მოწიწებით და პატივისცემით, რათა თავიდან აიცილონ მისი მეორადი ვიქტიმიზაცია .

არსებული მდგომარეობით,მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულად ვერ ახერხებს მსხვერპლის მეორადი ვიქტიმიზაციისგან დაცვას, [82]რამდენადაც სრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვას ესწრება მოძალადეც და პრაქტიკულად შეუძლებელია სამართლებრივი მექანიზმის არარსებობის გამო ბრალდებულის სასამართლოდან გაყვანა.

მსხვერპლის ვიქტიმირების თავიდან აცილების მიზნით უმჯობესი იყო განხორციელებულიყო ჩვენების ფირზე ჩაწერა, რათა გამოირიცხოს ერთსა და იმავე საქმეზე რამდენჯერმე ჩვენების მიცემის საჭიროება. [83]დაზარალებულის დაკითხვისას ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან გაყვანა ან სულაც დაზარალებულის დისტანციურად დაკითხვა.

2.3. კანონმდებლობის სრულყოფის ღონისძიებები

სახელმწიფო ორგანობმა უნდა გადადგან ყველა ნაბიჯი ძალადობის აღმოფხვრის ,პრევენციისა და განმეორებით ჩადენის თავდასაცავად .

მოძალადეს უნდა აეკრძალოს კონტაქტი [84]დაზარალებულთან, ასევე მოწმეებთან .

კონტროლის ქვეშ იყოს მოძალადე ,მისი გადაადგილება ,აეკრძალოს დაზარალებულის სახლთან ,სამსახურთან მიახლოება .

ასევე შესაძლოა მესამე მხარის საშუალებით ცდილობდეს მოძალადე ,დაზარალებულთან დაკავშირებას,დაშინებას,რაც გამოვლენისთანავე უნდა იყოს აღკვეთილი.

---

[82] სამაგისტრო ნაშრომი ,ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე მტკიცებულებების შეფასების თავისებურებანი,ანა სიგუა ,გვ40

[83] სამაგისტრო ნაშრომი ,ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე მტკიცებულებების შეფასების თავისებურებანი,ანა სიგუა ,გვ41

[84] 40 Long, J., Mallios, C. and Murphy, S., "Model Policy for Prosecutors and Judges on Imposing, Modifying and Lifting Criminal No Contact Orders", The Battered Women's Justice Project (2010).

მოძალადეს ასევე შესაძლოა შეეზღუდოს მგზავრობა ,სასამართლო ნებართვის გარეშე.

გარკვეულ შემთხვევებში მოეთხოვოს პასპორტის ჩაბარება.

მოძალადე არ უნდა ფლობდეს ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას, ასაფეთქებელ ნივთიერებას ან იარაღს.

ალკოჰოლის მოხმარებისაგან , ასევე სხვა არალეგალური ნივთიერებების მოხმარებისაგან თავის შეკავება . თუ საჭიროება მოითხოვს უნდა ჩაერთოს ალკოჰოლთან წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამაში.

თუ მოძალადე მსხვერპლს ავიწროებდა კომპიუტერის ან სხვა ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებით, მას შესაძლოა აეკრძალოს ასეთი მოწყობილობების გამოყენება და მფლობელობა.

პროკურორმა უნდა აცნობოს დაზარალებულს, თუ როდის განთავისუფლდება ბრალდებული და დაზარალებულს უნდა გადაეცეს ბრძანების ასლი, რომელშიც ასახულია გათავისუფლების პირობები და ინფორმაცია

თუ ვის უნდა დაუკავშირდეს დაზარალებული თუ მოძალადე არღვევს რაიმე პირობას.

მნიშვნელოვანია, შეიქმნას სახელმწიფოსაგან , შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა[85], რისი საჭიროებაც განსაკუთრებით იკვეთება, ოჯახში ჩადენილ დანაშაულთა შემთხვევებში .

დრემდე განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან , შესაძლოა გამოვყოთ . 2017 წლის 5 აპრილს განხორციელებული სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება ,გარდა ამისა ,2018 წლის 30 მაისისა და 30 ნოემბრის ცვლილებები ,რომელთა მეშვეობითაც გამკაცრდა პასუხისმგებლობა ოჯახური ძალადობისათვის და განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ქალთა მიმართ და ოჯახში ჩადენილი დანაშაულების პრევენციაზე .

---

[85] ხატიაშვილი გ.საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის , ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ განხორციელებულ 2010 წლის მიხედვით , ძალაში შედის მოძალადეზე ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების მეთოდი ,რაც იძლევა მოძალადის გადაადგილების მონიტორინგის საშუალებას და ხელს უწყობს ძალადობის განმეორებითი ფაქტების პრევენცირებას.

ვფიქრობ ,ხსენებული ინსტიტუტი, ქართული კანონმდებლობისა ,წინ გადადგმული ნაბიჯია ,თუმცა ამ საკითხზე კანონმდებელს კიდევ ბევრი აქვს სამუშაო და მომავალში აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული ელექტრონული კონტროლის მექანიზმი მოძალადეზე .

რაც შეეხება საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულ ცვლილებებს , მიზანშეწონილია შეიქმნას ქალთა დისკრიმინაციის საკითხებზე მუდმივ მოქმედი ინსტიტუტი,რომელიც უზრუნველყოფს ,ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშეწყობას,და ეს პასუხისმგებლობა სრულად არ იქნება დაკისრებული ამ საკითხზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს,რომელთა ფინანსური და ადამიანური რესურსი რასაკვირველია მწირია. შესაბამისად, ამგვარი მუდმივ მოქმედი სტრუქტურის უზრუნველყოფის ვალდებულება ,სწორედ სახელმწიფოს დაეკისრება .

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იქნებოდა დანერგილიყო ,სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მსხვერპლთა რესოციალიზაციას ,მათი დასაქმებისა და ფსიქოლოგიური დახმარების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია, მსხვერპლთა დასაქმება , ხოლო სახელმწიფოს მხრიდან მსხვერპლის დასაქმების შეუძლებლობისას ,მისი სათანადო სოციალური დახმარებით , ან სახელმწიფო ფინანსური სუფსიდიით ხელშეწყობა.

განათლების სისტემაში საჭირო ზომების მისაღებად ,მნიშვნელოვანია , სახელმწიფო ზრუნავდეს დაწყებითი კლასების სასკოლო

სახელმძღვანელოებიდან გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე,[86] აძლიერებდეს გენდერული თანასწორობის კომპონენტს სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში , ამისათვის, შესაძლოა , განათლების სამინისტროს სისტემაში შეიქმნას მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფი ,რომელიც კონკრეტულად ზემოაღნიშნულ საკითხებზე იმუშავებს .

2.4. ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი თავდაპირველად შეიქმნა იმისათვის, რომ პირები დაიცვას სახელმწიფოს მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან. 1990 წლიდან საერთაშორისო სამართალში ყურადღება მიიპყრო ოჯახში ძალადობამ, ამ ყურადღების ამაღლებამ გამოიწვია მრავალი გადამწყვეტი საერთაშორისო და რეგიონალური ინსტრუმენტების შემუშავება.

საერთაშორისო დონეზე განხორციელებულმა მცდელობებმა, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში ხელი შეუწყოს სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ჩარევის გაზრდას, რაც მოიცავს კანონების მიღებას და სისხლის სამართლის სამართლის დანაშაულის დაწესებას.

ევროპაში ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლ ქალებზე ჯერ კიდევ არ არსებობს ეფექტური პრევენცია, დაცვა და ადეკვატური დახმარება. არსებობს სახელმწიფოებში დახმარებისა და დაცვის სხვადასხვა დონე, არასაკმარისი გეოგრაფიული დაფარვა, მომსახურეობის დაფინანსების პრობლემა მსხვერპლზე.

დაცვისა და დახმარების სუბიექტები საკმარისად ვერ აკმაყოფილებენ მსხვერპლის საჭიროებას. უარყოფითი დამოკიდებულება პოლიციის, სასამართლო სისტემის ან სოციალური სამსახურების მხრიდან.

---

[86] ხატიაშვილი გ.საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე.გვ58

პრობლემის სიდიდე და ჰარმონიზებული[87] იურიდიული სტანდარტები აუცილებელია, რომ დაზარალებულებმა ისარგებლონ დაცვის ერთნაირი დონით ყველგან ევროპაში. ევროსაბჭომ 2007 წელს მიიღო ფადაწყვეტილება, ამ სფეროში შეექმნა იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2017-16 წლის 1 აგვისტოს.

სტამბულის კონვენცია [88]ადგენს მონიტორინგის მექანიზმს,რათა შეაფასოს რამდენად კარგად გამოიყენება მისი დებულებები. მონიტორინგის ეს მექანიზმი ორი სვეტისგან შედგება. ექსპერტთა კვლევა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღლდეგ მიმართული ქმედებების და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ.

პოლიტიკური ორგანო, მხარეთა კომიტეტი და დამოუკიდებელი ექსპერტი, ასევე სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენლები. კონვენცია და მათი დასკვნები, რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სახელმწიფოების კოვნენციასთან შესაბამისობას და გრძელვადიან ურთიერთობას.

სტამბოლის კონვენციის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების სფეროში, დაცვის ორდერების ტრანსსასაზღვრო გამოყენება.

იურიდიულ დაცვის ღონისძიებებს გერმანიაში [89]მიეკუთვნება :

1.საცხოვრებელი სახლის გადაცემა მსხვერპლისთვის.

2. კონტაქტის აკრძალვა.

3.მიახლოების აკრძალვა დამნაშავისთვის.

---

[87] As of 19 January 2016, 19 member states of the Council of Europe have ratified the Convention and 20 have signed it.

[88] The Istanbul Convention provides for the signing and the ratification of the Convention also by the European Union. The EU can accede to it to the extent of its competences. The EU is currently examining this possibility.ncil of Europe.

[89] Cizek B, Kapella O, Buchner G et al. (2001) Entwicklung des Gewaltverständnisses. In: Bundesministerium für soziale Sicherheit, Generationen und Konsumentenschutz (Hrsg) Erklärungsansätze für das Phänomen Gewalt in der Familie, Gewaltbericht. Österreich, Wien, S 20, 20–34

ამის მიხედვით დამნაშავე ვერ მიუახლოვდება ვერც მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილს და ვერც სამუშაო ადგილს. ასევე ვერ დაამყარებს მასთან კონტაქტს.

დაცვის რომელი მდგომარეობაა მსხვერპლისათვის მისაღები წყვეტს დაზარალებული.

ქალს რომელზეც იძალადეს ,უფლება აქვს საკუთარი პარტნიორის წინააღმდეგ შეიტანოს განაცხადი შემდეგი ქმედებების გამო :

1. სხეულის დაზიანება.
2. მუქარა.
3. იძულება.
4. გაუპატიურება.

გადაწყვეტილების მისაღებად მსხვერპლს აქვს სამი თვე[90] ,ამას გარდა დაზარალებულ პარტნიორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება., როგორც ქონებრივი , ასევე არაქონებრივი , სამოქალაქო სამართლის წესით.

სისხლის სამართლის პროცესში ასევე არსებობს შესაძლებლობა თანამოსარჩელის სახით გამოვიდეს პირი.

პოლიციის მოქმედება შესაძლოა იყოს ,როდესაც მიმართავს მას მსხვერპლი:

1.განცალკავებით დაკითხვა ორივე პარტნიორის.

2.მტკიცებულებების უზრუნველყოფა .

3.განცხადების გამზადება.

თუ საჭიროება მოითხოვს პოლიცია უზრუნველყოფს ,მსხვერპლმა დატოვოს საცხოვრებელი სახლი და ხელი შეუშალოს დამნაშავეს განაგრძოს ძალადობა .

ბავშვები ,რომლებიც ოჯახში განიცდიან ძალადობას,როგორც წესი თავად ხდებიან მიდრეკილი ძალადობისაკენ , ან მათ აქვთ ქცევის

---

[90] https://link.springer.com/article/10.1007/s00194-004-0263-5?fbclid=IwAR2X0Urbf4Dfo373A3VjMyTpTxzRVLqEC3TdnICVxkWyS3RVe-gDzw5nV38
Gewaltforschung zum Thema „häusliche Gewalt“ aus kriminologischer Sicht,Franke B, Seifert D.

პრობლემები, არასრულწლოვანთა საკითხების კურატორი ორგანოები ,ამის გამო ,ნაწილობრივ გახდნენ კრიტიკის ობიექტი. რამდენადაც მათ აშკარად ძალადობრივ შემთხვევებზე დაგვიანებით იმოქმედეს ,გააჭინაურეს მოქმედება .

გარდა იმისა ,რომ მნიშვნელოვანია მოქმედებები პოსტ ფაქტუმ ,ასევე მნიშვნელოვანია გატარდეს პრევენციული ღონისძიებები , მაგალითისათვის , ოჯახებში სადაც ძალადობა ხდება ,არის კომუნიკაციის სირთულე ,განსახილველ შემთხვევებში ეფექტური იქნებოდა პრევენციული ღონისძიებების ჩართვა და ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენება.

2002 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა ,ძალადობის წინააღმდეგ კანონი,რომელიც ემსახურება მსხვერპლის დაცვას და აუმჯობესებს მის სამართლებრივ მდგომარეობას , მაგალითად ასე შეგვიძლია დავიცვათ მსხვერპლი მოძალადისაგან თუნდაც მათი სივრცობრივი განცალკავებით.

ბავშვთა და ახალგაზრდული დაცვის ორგანოებიდან პირველი არიან დახმარებისა და სარეაბილიტაციო ორგანო.ოჯახთა და აღმზრდელობით საკითხებში საკონსულტაციო ორგანოებს შეუძლიათ რჩევის მიცემა პრევენციულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ოჯახში მამაკაცთა , ქალთა და ახალგაზრდათა სამინისტრო ხელს უწყობს , სკოლის ფარგლებში აქტივობების განხორციელებას , რომელიც მიზნად ისახავს ოჯახური ძალადობის პრევენციას.

ფედერალური მიწებიც და კომუნებიც ეწევიან პრევენციულ[91] ღონისძიებებს .

გერმანიაში მოქმედებს ბავშვების შემთხვევაში , ძალადობის წინააღმდეგ , ბავშვთა და მშობელთა შორის ურთიერთობების მარეგულირებელი სამართალი., რომელიც გერმანიის სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება.

[91] Wieners K, Hellbernd H (2000) Gewalt macht krank—Zusammenhänge zwischen Gewalt und Gesundheit. In: European women's health network (eds) Situation, Konzepte, Herangehensweisen und Organisationen in der Frauengesundheit. Länderbericht Bundesrepublik Deutschland, Landesvereinigung für Gesundheit Niedersachsen e.V., Hannover, S 32–45

ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვებს აქვთ უფება ,მხარდაჭერა მიიღონ ,არასრულწლოვანთა საკითხების კურატორი ორგანოთა მხრიდან. მათ შორის არსებობს საშუალება მოძალადე მამას, მამინაცვალს, ან დედის პარტნიორს , მოეთხოვოს საცხოვრებელი სახლის დაუყოვნებლივ დატოვება ,თუ არ არსებობს სხვა საშუალება.

მიუხედავად იმისა ,რომ გერმანიაში საინფორმაციო კვლევები დაახლოებით 3 ათეულ წელზე მეტია მიმდინარეობს, დღემდე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზებისა და ზუსტი ოდენობის შესახებ .

რუსეთში განხორციელებულმა ოჯახური ძალადობის დეკრიმინალიზაციამ საბოლოოდ წაშალა ყველანაირი ბარიერი მოძალადისათვის.

რუსეთში ოჯახში ძალადობის და მასში ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დარღვევების არავითარი სტატისტიკა არ არსებობს და ქალთა კრიზისულ ცენტრებს თუ სხვა ამ საკითხებზე მომუშავე ორგანოებს ექმნებათ სერიოზული სირთულეები ინფორმაციის მოძიებისა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ღონისძიებები ,სქესობრივ დანაშაულთან დაკავშირებით ,ოჯახური ძალადობის ჭრილში გამოდგება. არაზუსტი მტკიცებულებები ,რამდენადაც ქალების მხოლოდ მცირე რიცხვი მიმართავს პოლიციას , ოჯახური ძალადობის შემთხვევებში.

თავად რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა ,რომ დამამძიმებელ გარემოებათა მკვლელობათ 25 % სწორედ ოჯახზე მოდის .

2017 წლის იანვარში, რუსეთის დუმამ ორი მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი [92],ოჯახური ძალადობის დეკრიმინალიზაციასა და არამართლსაწინააღმდეგო ქმედებად გადაკვალიფიცირების შესახებ.

---

[92] **Russische Familienwerte: Häusliche Gewalt wird in Russland bagatellisiert ,** Februar 2017 von Dr. Irina Kosterina
https://www.boell.de/de/2017/02/08/russische-familienwerte-haeusliche-gewalt-wird-russland-bagatellisiert?fbclid=IwAR3g3vjQW4O2YxN29XTGqtdAfdGcEPKmUkRLDgkvJLnYYEib287L0S1VJ6E

ამით კანონის დონეზე განმტკიცდა რუს გლეხობაში ჯერ კიდევ მე-19 -ე საუკუნეში გაბატონებული შეხედულება, რომ თუ კაცი გცემს , ე.ი. "შენ მას უყვარხარ " . ამით რუსულმა დუმამ ფაქტობრივად განაცხადა, რომ სულერთია თუ რა დანაშაული ხდება ოჯახში , ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება დანაშაული, არამედ საქმე გვაქვს ბუნებრივ , წმინდა ოჯახურ სიტუაციასთან.

პროკურორებმა ,როგორც სახელმწიფოს აგენტებმა , უნდა იცოდნენ საერთაშორისო დონეზე

რეგიონალური უფლებების დაცვის ჩარჩო, მათ უნდა განიხილონ რომელი ხელშეკრულებების რატიფიცირება[93] მოახდინეს სახელმწიფოებმა და უნდა გაითვალისწინონ შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები, რომლებიც მიიღეს გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ.

სახელმწიფო, რომელიც ახდენს ადამიანის უფლებების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას, იღებს საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებს,

მოითხოვს, რომ იგი შესრულდეს კეთილსინდისიერად, როგორც ხორციელდება ხელშეკრულება, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალით, ან რა სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებები ხდება

საშუალებას მისცემს სახელმწიფოს იმოქმედოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. პრინციპულად იძლევა ქვეყნის კონსტიტუცია

საერთაშორისო ნორმების უშუალო შესრულებას შიდა კანონმდებლობაში .როდესაც ხელშეკრულება რატიფიცირებულია, სამართალდამცავი ორგანოები უნდა გაეცნოს მათი სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებულ ხელშეკრულებებს.

---

[93] 40 Long, J., Mallios, C. and Murphy, S., "Model Policy for Prosecutors and Judges on Imposing, Modifying and Lifting Criminal No Contact Orders", The Battered Women's Justice Project (2010).

რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნაწილს. გაეროს სტანდარტები და ნორმები,მიუხედავად იმისა, რომ არ არის ვალდებული სახელმწიფოებისთვის, უნდა მიაწოდოს წევრ სახელმწიფოებს სახელმძღვანელო სახელმწიფოებმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ეფექტურად განახორციელონ ადამიანის უფლებების დაცვა ,ჩვენ შემთხვევაში კი ოჯახური ძალადობის პრევენცია.

დასკვნა

ოჯახში ძალადობა ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და სერიოზული ფორმაა. ოჯახში ძალადობას ახასითებს ფარული და გაგნგრძობადი ხასიათი. მისი სპეციფიურობა ვლინდება იმდენად, რამდენადაც ხორციელდება ოჯახის წევრის მიერ სხვა ოჯახის წევრების მიმართ.

მცდარია მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ–ქმარს შორის არსებული კონფლიქტის ნიადაგზე წარმოიშობა.

ოჯახში ძალადობად ითვლება ოჯახის წევრის მიმართ განხორცილებული: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, სექსულაური ძალადობა, იძულება.

ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვეევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომლიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

ოჯახური ძალადობის პრევენიისათვის საზოგადოების ცნობიერება უნდა ამაღლდეს , საზოგადოებამ არსებულ პრობლემას უნდა შეხედოს კეთილგონიერი თვალით და არა ზიზღით და დაცინვით , რაც ხშირად ხდება.

ოჯახში ძალადობა ახდენს პიროვნების პროდუქტიულობის დაცემას ,რაც ნეგატიურად აისახება იმ სამსახურზე ,რასაც ემსახურება დაზარალებული. ყოველი ადამიანის უფლებაა იმუშაოს ძალადობისაგან თავისუფალ და მშვიდ გარემოში. საზღვარგარეთის მაგალითის

მიხედვით,ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლის [94]უსაფრთხოებას სამსახურში.ასევე ტარდება ტრენინგები მომსახურე პერსონალლისათვის ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე , პერსონალს ამით სწორი მიმართულება ეძლევა ,ისინი უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხოების ზომებით .

დღეს , საქართველოში მოქმედი შემაკავებელი თუ დამცავი ორდერები სრულად ვერ იძლევა ძალადობაზე შემაკავებელ მოქმედებას ,მით უმეტეს თუ მოძალადე და მსხვერპლი ერთ სახლში ცხოვრობენ და მათ სხვა საცხოვრებელი არ აქვთ, შემაკავებელი ორდერი რომ ეფექტური არ არის ამას ადასტურებს ,უახლესი მოვლენა ,თერჯოლის რაიონში, სადაც მამა ,რომელიც ყოველდღიურად სვამდა , ოჯახის წევრებზე ახდენდა როგორც ფსიქოლოგიურ ,ასევე ფიზიკურ ძალადობას ,მიუხედავად შემაკავებელი ორდერებისა ,მეზობლებიც აქტიურად იძახებდნენ 112 -ს , მაგრამ არაფერი შეცვლილა იმ ბავშვისთვის, რომელმაც ვეღარ გაუძლო ძალადობას და 11 წლის ასაკში თავისი სიცოცხლე სუიციდით დაამთავრა.

ეს ფაქტი ყველაზე მკაფიოდ უსვამს ხაზს ,რომ შესაცვლელია არსებული რეალობა, ის მექანიზმები რაც არსებობს ყველა შემთხვევაში ვერ ამართლებს, ვერ იცავს ბავშვებს, მოზარდებს და სამუდამო დაღს ასვამს მათ ცხოვრებას .აუცილებელია ,თავშესაფრების თუ საცხოვრებლების აქტიურად დანერგვა იმ მსხვერპლების მისა ღებად ვისაც წასასვლელი არ აქვს და უწევთ მოძალადესთან თანაცხოვრება.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში შესაბამისი უწყებებისათვს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის გარდა მნიშვნელოვანია სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევა ამ მიმართულებით/ ჯახში ძალადობის დაძლევის მიზნებისთვის.

[94] კუსიანი ე. კავშირი „საფარი“,2007წ.

გაეროს სტანდარტები და ნორმები,მიუხედავად იმისა, რომ არ არის ვალდებული სახელმწიფოებისთვის, უნდა მიაწოდოს წევრ სახელმწიფოებს სახელმძღვანელო სახელმწიფოებმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ეფექტურად განახორციელონ ადამიანის უფლებების დაცვა ,ჩვენ შემთხვევაში კი ოჯახური ძალადობის პრევენცია.

ადამიანის უფლებები უნივერსალური და განუყოფელია, რაც ყველა ადამიანს ეკუთვნის რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრების მიუხედავად,ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადების ან სხვა სტატუსის.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი

გოგუაძე ე., აღმკვეთი ღონისძიებების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017.

ივანიძე მ., ოჯახში ჩადენილი დანაშული, გურამ ნაჭყებია - 75 საიუბილეო კრებული, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.

საერთაშორისო სამართლის ჟურნალი ,#1, მარინა მესხი ,ოჯახში ძალადობა -პრობლემის მორალური და სამართლებრივი ასპექტები. გვ 64 თბილისი 2011

კუსიანი ე. სტატია „ძალადობა ოჯახში და მისი გადაჭრის გზები“ 2011წ.

კოჭლამაზაშვილი ბ., ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017.

ლეონიძე ი., განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციონირების ცალკეული სამართლებრივი ასპექტი, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019 სპეციალური გამოცემა“, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019.

მაისურაძე თ., თვითგამორკვევისა და კონფიდენციალურობის პრინციპთა ურთიერთმიმართება მედიაციის ეთიკური ურღვეობის უზრუნველყოფის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2018-2019 სპეციალური გამოცემა“, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019.

მეტრეველი ლ., ოჯახში ძალადობა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მგომარეობის ასპექტები,

„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N2“, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში,საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019

პეტაი ი., სოციოლოგიის პრიზმიდან დანახული ოჯახური ძალადობა, თბილისი, გამომცემლობა „პეტიტი“, 2016.

შალიკაშვილი მ., ძალადობის კრიმინოლოგია, თბილისი, გამომცდმლობა „მერიდიანი“ 2012.

შალიკაშვილი მ., მიქანაძე მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016.

შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციალური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2011.

კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუცია

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

საქართველოს კანონი ,ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ,ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ

უცხოენოვანი

40 Long, J., Mallios, C. and Murphy, S., "Model Policy for Prosecutors and Judges on Imposing, Modifying and Lifting Criminal No Contact Orders", The Battered Women's Justice Project (2010).

Preventing and Combating Domestic Violence against Women.

Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls.

As of 19 January 2016, 19 member states of the Council of Europe have ratified the Convention and 20 have signed it.

Russische Familienwerte: Häusliche Gewalt wird in Russland bagatellisiert , Februar 2017 von Dr. Irina Kosterina

Council of Europe (2008). Final Activity Report: Council of Europe Task Force to Combat Violence against Women. Strasbourg: Cou

The Istanbul Convention provides for the signing and the ratification of the Convention also by the European Union. The EU can accede to it to the extent of its competences. The EU is currently examining this possibility.ncil of Europe.

CRowell N. A., BuRbess A. W., UndeRstandinb Violence Abainst Women, National ReseaRch Council, Division of BehavioRal and Social Sciences and Education, Commission on BehavioRal and Social Sciences and Education,

Committee on Law and Justice, Panel on ReseaRch on Violence Abainst Women, NATIONAL ACADEMY PRESS, Washinbton, D.C. 1996, P. 49.

*Adams, D.*1998. `TReatment Models of men Who BatteR: A PRofeminist Analysis" In K.YIIo &M.BobRad (eds) Feminist PeRspectives on WIfe Abuse.NewbuRy PaRk,pp.176-199.

https://rm.coe.int/16806ee727

https://www.boell.de/de/2017/02/08/russische-familienwerte-haeusliche-gewalt-wird-russland-bagatellisiert?fbclid=IwAR3g3vjQW4O2YxN29XTGqtdAfdGcEPKmUkRLDgkvJLnYYEib287L0S1VJ6E